572
990

ISSN 0132--5965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1990 წ. მაისი № 5

დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა

რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ
ესხასა!
მწვანედ ღელავდეს მიდამო, ცვარი ცის მაზედ
ესხასა.

ვახტანგ VI

გალაკტიონ ტაბიძე

მამული

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გაიარე —რაა მამული?!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.
გაშალა ველი ნელმა ნიავმა
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.
აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება.
ისევ ამწვანდა მდელო და კორდი...
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება.

მხატვარი **გიორგი როინიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედოფლის გასახლება

რევაზ ინანიშვილი

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

იქნებ იცით კიდეც ეს ამბავი, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, ერეკლეს ვაჟის, გიორგი XII-ის ოჯახში რომ მოხდა.

1803 წელი იდგა, ქართლ-კახეთის რუსეთთან მიერთების მესამე წელი. სამეგობრო ხელშეკრულება, ანუ ტრაქტატი, რომელიც 1783 წელს გიორგიევსკში დაიდო ჩვენსა და რუსებს შორის, ფარატინა ქაღალდად იქცა. რუსები მკაცრ მბრძანებლებად ჩამოდგნენ. მეფე გიორგი ცოცხალი აღარ იყო, ქვეყნის სათავეში მთავარმართებელი ციციანოვი იჯდა. მეფის ოჯახს, მის მოდგმას მბრძანებლები თავიანთ ქვეყანაში ასახლებდნენ. დიდი ღელვა იყო ჩვენს ხალხში, დიდი კბილთა ღრჭენა.

გიორგი მეფის მეუღლემ, ქვრივმა დედოფალმა მარიამმა (შვიდი შვილი ჰყავდა — ორი ქალი, ხუთი ვაჟი) ჯერ კიდევ წინა წელს მიართვა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს თხოვნა: „რათა სნეულება და ძუძუს მწოვნელობა შვილთა ჩემთა დაადგეს ერთსა მტკიცე ჰაზრსა ანუ სიკვდილსა თუ ანუ სიცოცხლესა ზედა, მაშინ იყავნ ნებისამებრ თქვენსა“, ესე იგი, ძუძუმწოვარი და სნეული ჩემი შვილებისთვის ან სიკვდილი იყოს ან სიცოცხლე და მაშინ აღასრულეთ ნება-სურვილი თქვენიო.

თხოვნას გაუყუჩდნენ. ყოველ შემთხვევაში, მაშინ არ გაუსახლებიათ, მაგრამ ერთმა არაკაცმა, იოსებ კალატოზიშვილმა, დედოფალი მთავარმართებელ ციციანოვთან დააბეზღა: ხევსურეთს აპირებს გაპარვას, ისიც კი ვიცი, ქალაქის

რომელი კარიდან უნდა გავიდნენ — ავლაბრის კარიდანო.

ციციანოვმა გენერალ სერგეი ლაზარევს დაავალა დედოფლის შეპყრობა და მთელი ოჯახის გასახლება. 1803 წლის 19 აპრილს, დილის 6 საათზე, ლაზარევი, რამდენიმე ოფიცრისა და ჯარისკაცთა ოცეულის თანხლებით, გიორგი მეფის სასახლეში მივიდა. სასახლის ორი საცოდავი მცველი ადგილზე გაკანკეს, გააქვავეს. დედოფლის საძილე ოთახში შეიჭრნენ, დედოფალს რიგიანად ჩაცმაც კი არ აცალეს. თარჯიმანმა მთავარმართებლის ბრძანება წაუკითხა. დედოფალმა უარი განაცხადა, — მე არ ვემორჩილები ციციანოვის ბრძანებასო. ლაზარევი გაცეცხლდა. დედოფალი უარესად. არ კი უტირია. მაშინ ლაზარევმა ოთახში თარჯიმანი — კვარტირმაისტერი სუროკოვი დატოვა, — მშვიდად მოელაპარაკე დედოფალსო. თვითონ, ოფიცრების თანხლებით, გარეთ გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარჯიმანი დედოფალს მიუახლოვდა. თურმე დედოფლის შვილები, გაბრიელი და თამარი (გაბრიელი 14, თამარი 13 წლისა) დედასთან შემოსულიყვნენ, დედისაკენ წამოსული თარჯიმანი რომ დაინახეს, გაბრიელმა ხანჯალი იძრო, თამარმაც გამოიღო უბიდან დანა, დედოფალს წინ დაუდგნენ და იყვირეს: — ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, ხელი ახლონ დედას! თან ეკვროდნენ ზურგებით მარიამს. ისევ იძახდნენ: — ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, ხელი ახლონ დედას!

ყვირილზე ლაზარევი და ოფიცრები შემოცვივდნენ. გაბრიელი მათკენ გაექანა ხანჯლით, თამარიც. ოფიცრებმა ხმლები გააშიშვლეს, ბიჭიც და გოგოც სწრაფად გააკავეს, იარაღი აართვეს. გენერალი ლაზარევი თვითონ უახლოვდებოდა დედოფალს რაღაცეების ყვირილით. დედოფალი კლანჭებგამოშლილი არწივივით იდგა. ლაზარევმა ვითომცდა ყუიდან მოუქნია ხმალი, მაგრამ დედოფალი დაიჭრა. დედოფალმა ხანჯალი გამოიტაცა მუთაქის ქვეშიდან და მუცელში შეუყარა ლაზარევს. ოფიცრებიც ხმლებით მიესივნენ დედოფალს. იგი საწოლზე ავარდა, წინ ჰქონდა გამოწვდილი სისხლიანი ხანჯალი. მისი მეორე ჭრილობა ოფიცერ კაჭკაჭოვს ბრალდება. დაჭრეს მესამედაც — მარცხენა ხელის ზურგში. დედოფალს ხანჯალი გაუვარდა და საწოლზე ჩაიკეცა. საწოლიდან ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოათრიეს. გულწასული იყო, რიგიანად არც კი მოუსულიერებიათ, საბანზე დაწვინეს და გარეთ გაიტანეს, მიაყოლეს შეპყრობილი გაბრიელი და თამარიც.

საბანში გახვეული დედოფალი რაღაც დიდ ყუთში ჩადეს, ყუთი ჯარისკაცებმა წაიღეს. ჯარისკაცებს თათუღა ექიმი წამოეწიათ, ყუთი ჩამოაღებინა, დედოფალს ჭრილობები შეუხვია, თან აცნობა, ლაზარევი მოკვდაო. დედოფალს მკაცრ სახეზე არაფერი დასტყობია. ღრმად ამოისუნთქეს გაბრიელმა და თამარმა, რომლებიც ისევ ჯარისკაცებს ეჭირათ. სხვა და-ძმებიც გამოეყვანათ, ისინიც ჯარისკაცებს მოჰყავდათ უკან. დედოფალი ასწიეს და ისევ ყუთით წაიღეს. შვილებიც მიადევნეს.

ქვეყნიერებაზე ძალიან ცოტა იქნებოდა ბავშვთა მშვენიერი თვალები, რომელთაც მსგავსი სვლა ენახოთ საკუთარი დედისა. თამარი ხომ ტიროდა, გაბრიელსაც სველი ჰქონდა თვალები, ქუჩის აქეთ-იქით ჩოჩქოლი იყო, მორბოდნენ, რაღაცეებს ყვიროდნენ, ჯარისკაცებთან მისვლას მაინც ვერა ბედავდნენ. მეტეხის ციხიდან ზარბაზნები იყურებოდნენ.

მარიამ დედოფალი შვილებიანად რუსეთში გადაასახლეს, კურსკის გუბერნიის ბელგოროდის დედათა მონასტერში ჰყავდათ პატიმრად.

ორი ცისანა

ცირა ქიტიაშვილი

გოგონა ცისანა — ცისფერთვალება ევავილო.
მინდორში როგორ გძინავს?
ქარებს სად დაემალები,
სად გაექცევი წვიმას?
ჩემს ფანჯარაზე მიგიჩენ,
ლამაზო, მეუდრო ბინას
და აღარ დამეჩაგრები
ასეთი ბაწაწინა.

ევავილი ცისანა — მინდორში თვალს რომ ავახელ,
დამხედავს დილის სხივი,
გულმკერდზედ აფერადდება
ცვარნამის სუფთა მძივი,
დამფარფატებენ ბეჭლები,
ვისმენ მერცხლების ჭეიკილს,
მომეფერება ნიავიც
მოევარულ მშობელივით.
ვუჩურჩულებ — ვაშა, სიცოცხლევ!
ვივიწყებ ყველა ტკივილს.
დაე, წამიღონ ქარებმა,
დამაჭკნონ, აღარ ვჩივი!

მხატვარი **ლალი ლომთაძე**

აკაკი წერეთლის ცხოვრება

გივი გეგეჭკორი

მხატვარი **ედუარდ ამბოკაძე**

მოხუცი აკაკი სხვიტორში. რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობა. „მომაკვდავის ფიქრები“.

მოხუცებულობაში აკაკი ხშირად არის სხვიტორში. სასახლის ეკლესიის წინ, ვაკე ადგილზე, ექიმის რჩევით, დინჯი სიარულით ხუთას ნაბიჯს გაივლის, შემდეგ კაკლის ან ტყემლის ძირში ჯდება და გვიანობამდე იქ რჩება.

აკაკისთან სხვიტორში არის მისი და — ანა, და ის უვლის. აკაკი ოხუნჯობს: ცოლი მყავს — არა მყავს, შვილი მყავს — არა მყავსო. ტასო მაჩაბელს სწერს: ვანო ცოცხალიც ბედნიერი იყო და დაკარგულიც ბედნიერია. სიჭაბუკეშივე მოიხვეჭა სახელი, რომ შვილებს უანდერძოს; სანამ იყო, გარს საყვარელი ცოლ-შვილი ეხვია და საყვარლად დასტოვაო.

ერთხელ სხვიტორში აკაკისთან ერთად აივანზე სხედან აკაკის ძმა დავითი, მისი მეუღლე მარიამ ციციშვილი და სხვა ახლობლები. საღამო ხანია. ეზოში უამრავი ვარდია და აივანზე მყოფთა ხმებს ბულბულები გალობით ეხმაურებიან. აკაკის ბულბულის გალობა ისე უყვარს, რომ გაიგონებს, ხმას ვეღარ იღებს; და ვერც ვერავინ დაელაპარაკება. აკაკი ინატრებს, ნეტავ ერთი ბულბული დამანახაო. ამას იტყვის თუ არა, ერთი ბულბული აივანზე შემოფრთხიალდება და აკაკის ხუჭუჭ თმაზე დააჯდება. აკაკის განძრევისა შეეშინდება, არ გაფრინდესო. ბულბული ერთს დაიჭიკჭიკებს, დაიფრთხიალებს და გაფრინდება.

ერთხელ თბილისში მიმავალი აკაკი ღია ვაგონში ავა. ხელში ფრანგული ჟურნალი უკავია. ახალგაზრდებს გამოესაუბრება, მერე კი ჟურნალის კითხვას დაიწყებს. უეცრად ქარი წამოუბერავს და აკაკის ჭილოფის ქუდს მოსტაცებს. ატყდება ერთი ალიაქოთი, ვიდაც ორთქლმავლის გასაჩერებელ ისარს ხელს ჩამოჰკრავს. მატარებელი დადგება. ვაგონიდან ქუდის დასაჭერად პანტა-პუნტით გადაცვივდებიან. აკაკი შეწუხდება, რას სჩადიან, დაუძახეთ, იმ ოხერს თავი დაანებონო. დაბრუნებულებში ერთია ყველაზე ბედნიერი: მას ორივე ხელით აკაკის ქუდი მოაქვს...

1912 წლის ზაფხულში აკაკი რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურებს. ამ მოგზაურობას კინოოპერატორი ვასილ ამაშუკელი კინოფირზე გადაიღებს.

მთელი რაჭა-ლეჩხუმი ფეხზე დადგება. შორეული სოფლებიდან ბავშვები მოჰყავთ, რომ შორიდან მაინც დაანახონ აკაკი. ყველა სოფლის შესასვლელში ყვავილების თაღებია და ზედ ხორბლის თავთავებით აწერია: გაუმარჯოს აკაკის! ასიოდე მხედარი აკაკის ეტლს რკალივით გარს შემოერტყმის. ეტლი შეჩერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება და აკაკი, რომელსაც თვალებში სიხარულის სხივი უკრთის, ეტლიდან გადმოდის. ხალხი ყვავილებით და სიმღერით ეგებება... მერე მხედრები თოფის სროლითა და ყიჟინით აცილებენ. ასეა ყველა სოფელში... გუნდი „მრავალჟამიერს“ მღერის. ბავშვები აკაკის ლექსებს კითხულობენ...

ონში ნადიმზე აკაკი ხალხს განუცხადებს: ვხედავ, რომ უკვე გამოღვიძებული ხართ და მომავლისაკენ მიისწრაფით, სწორ გზას ეძებთ. გინდათ, რომ წინამძღოლი გყავდეთ და წინამძღოლი მე გგონივართ. მე მისი აჩრდილიც კი არა ვარ. ის გმირი, რომელმაც ჯაჭვი უნდა გასწყვიტოს და ამირანი აუშვას, სხვა არის და ახალმა მოდგმამ უნდა მოგივლინოთო...

სულიერი მხნეობის წუთებშია დაწერილი ლექსი „მომაკვდავის ფიქრები.“ აკაკი ამბობს: თუ ჩემს სამშობლოს ჩემი სიკვდილი გამოაღვიძებს, მე მზად ვარ! ჩემი უკვდავება ის იქნება, თუ იმ ქვეყნად უკეთესი მომავლის იმედი გამყვება და შთამომავლობა თავის ვალს შეიგნებსო!

აკაკის ანდერძი. გარდაცვალება. სხვიტორიდან წამოსვენება და დაკრძალვა.

1912 წლის 7 ნოემბერს დაწერილი ანდერძით აკაკი მთელ თავის მამულს და ნაწარმოებებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას უტოვებს. აქ ისიც წერია, კარის ეკლესიის გვერდით, სოფელ სხვიტორში დამასაფლავეთ უბრალოდ და უგვირგვინოდო.

...აკაკი სიკვდილის მოახლოებას გრძნობს.

1914 წლის დეკემბერში აკაკი პეტროგრადიდან შვილის წერილს იღებს, ალექსი ფულს სთხოვს. აკაკი თბილისში ფულს ვერ იშოვის და ქუთაისში მიდის. წასვლამდე ორი დღით ადრე კი ექიმ ივანე ელიაშვილს ეტყვის: მზარეულს ღომსა და ახალ თევზს თუ გააკეთებინებ, ხვალ შენთან ვისადილებო.

ელიაშვილის ოჯახში ძვირფას სტუმარს სიხარულით შეეგებებიან. მაგრამ აკაკი დანაღვლიანებულია. დაეკითხებიან, ასე უგუნებოდ რატომ ბრძანდებითო.

—ეჰ, გული მტკივა, რომ თქვენთან უკანასკნელად ვარ.

— როგორ უკანასკნელად? — დაეკითხება ექიმი.

—ისე, მეტს ვეღარ გნახავთ. მივდივარ საჩხერეს სამუდამოდ.

სადილს მოიტანენ, მაგიდას მიუსხდებიან, მაგრამ აკაკი არაფერს მიეკარება. წასვლისას ჯერ ექიმს გადაჰკოცნის, მერე მის ბავშვებსა და ცოლს გამოეთხოვება და ექიმს კიდევ გადაეხვევა. (საერთოდ აკაკის კოცნა არ უყვარს). ექიმი პალტოს რომ მიართმევს, აკაკი კიდევ სამჯერ გადაკოცნის.

ექიმი შეეკითხება:

— რა ამბავია, აკაკი, ხომ არა გტკივა რა?

— არა, ჩემო კარგო, უბედურობაც ის არის, რომ არა მტკივა რა, მაგრამ როგორღაც მოვსხლტი...

აკაკი ფულს ვერც ქუთაისში ისესხებს. ოცდაერთ დეკემბერს მოურავი კოტე აბდუშელიშვილი დაითანხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებს საჩხერეში წაჰყვეს, ფულს იქ ვიშოვი და ალექსის იქიდან გავუგზავნიო.

სამი დღის შემდეგ, ოცდაოთხ დეკემბერს, საღამოს, აკაკი თავს ცუდად იგრძნობს და ლოგინში ჩაწვება.

—იცით, რომ მე დამბლა დამეცა? —ნელი და ტკბილი ხმით ეტყვის მოსულ ექიმს.

—თქვენს საუბარს დამბლის დაცემისა არაფერი ეტყობა... —დაამშვიდებს ექიმი.

აკაკი მნახველების დანახვაზე ღელავს. ექიმები იძულებულები არიან, მნახველებს შესვლა აუკრძალონ. აკაკი ამ აკრძალვას თითქმის შეურიგდება. სამაგიეროდ მოითხოვს, ჩემი ნაწერები წამიკითხეთო. ანეტა იურკევიჩი სასთუმალთან დაუჯდება. „გამზრდელის“ დასასრულს რომ მიუახლოვდება და წაიკითხავს: „მაგრამ უსუფ ეუბნება: შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?! სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდი-ხარ“, აკაკი აქვითინდება. შეშინებული ანეტა ეტყვის: კითხვას თავს დავანებებო... აკაკი აღელვებული ეტყვის: „არა, არა, მე არ ვტირი, მაგრამ... მაგრამ ეს მართლა კარგად დამიწერია...“

ოცდაათ დეკემბერს მის სანახავად მოსულ ექიმს აკაკი ეტყვის: რომ დამცინოდით და არ გჯეროდათ, ახლა ხომ ხედავთ, ენა აღარ მემორჩილებაო. ექიმს თავზარი დაეცემა, რადგან აკაკის ენა მართლა ებორკება და ერთმევა.

ოცდათერთმეტ დეკემბერს ექიმთა კონსილიუმი ტვინში სისხლის ჩაქცევას და მარჯვენა მხარის დამბლას დაადასტურებს.

რვა იანვარს აკაკის უკეთესობა ეტყობა, რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობას მოიგონებს და მოითხოვს, ტოლელმა გლეხებმა რომ კალმახები მომართვეს, ის ხის ხონჩა მომიტანეთო. დიდხანს დაჰყურებს აკაკი ხონჩაზე წარწერას: „გაუმარჯოს აკაკის!“

...ოცდახუთ იანვარს აკაკის ხელმეორედ ჩაქცევა ტვინში სისხლი. მის ოთახში მწოლ შვილს, ალექსის, ძლივს გააღვიძებს. მეორე ღამით ენა ჩაუვარდება. ღამის პირველ საათზე გულის ძგერა შეუჩერდება და სახეზე ლამაზი ღიმილი შერჩება.

აკაკის გულის ძგერის შეჩერებისთანავე საწოლი ოთახის ბუხრის თავზე საათი გაჩერდება.

სხვიტორში, აკაკის საწოლ ოთახში, საწოლის წინ ახლაც ისე დგას სკამი, როგორც იმ ღამით იდგა. სკამზე სასანთლეა და შიგ ის სანთელია, რომელიც მაშინ ჩაქრა, როცა აკაკის ამ საწოლში სული ამოუვიდა. საწოლის გვერდით კედლის პატარა განჯინა-სახატეში ხატებია. ეს სასანთლე ალბათ ამ ხატების წინ იდგა და შიგ სანთელი პარპარებდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტარიელ ჭანტურია

გაიღვიძე, ანანო!

—დაიძინეთ ღამით თქვენ,
დაუძინებ დილით მე!
ახ, დილილმე, დილილმე,
დილით მიუვარს ძილი მე!
ადრე რატომ მაღვიძებ,
ბებიკონას ჯირიმე?!
ღამით სხვებმა იძინონ,
დილით მიუვარს ძილი მე!
— ვერა ხედავ? რა ადრე
იღვიძებენ ბავშვები!
სულ რომ დილით იძინო,
ღამით მარტო დარჩები!
მერე ღამით, მარტოკა,
ვის უმღერებ დილილმეს?
— რა ვქნა, ჩემო ბებიკო,
დილით მიუვარს ძილი მე!

ახ, დილილმე, დილილმე,
დილით მიუვარს ძილი მე!

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოცო და გვანცა

ბოგგანელოგან ისტორიაში

ავტორი – ბია ღაფაუური

თურქ-სელჩუკთა შემოსევები (925 წლის წინათ)

XI ს. 30-იან წლებში შუა აზიიდან დაიძრნენ თურქთა მომთაბარე ტომები, დაიკავეს ირანი, ერაყი, ბაღდადი, ქუჩთისტანი და სომხეთი, დაამარცხეს ბიზანტია.

1064 წელს თურქ-სელჩუკები სურთან არფ-არსლანის წინამძღოლობით თბილისში შემოიჭრნენ.



დიდო სულთანო! ახალქალაქელებს ხიდი ჩაუნგრევიათ!
ააგეთ ხიდი! შეესიეთ!
ზღუდე დაუმთავრებელია, ვერ გაუძლებს, სჯობს გარეთ გავიდეთ და პირისპირ შევებათ.
კოშკში ქართველი მეომრები გამაგრდნენ!
გადაწვით! გაანადგურეთ!...
საშინელი ბედი ეწია ახალქალაქს. მემატიანის ცნობით: „შევიდეს ქალაქსა თურქნი და ტყვე ყვეს ურიცხვი სული ქრისტიანეთანი, აღიღეს განძი და ტყვე ძლიერი, და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა."

კანჭა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

—დაუბერე ნიავო, პატარა ნიკა მქვიანო! —ღიღინებს გიგა, ეშმაკური ღიმილით ქვეშ-ქვეშ უყურებს უმცროს ძმას, თან ვაზებს ძირებს უბარავს, ნოტიო, გულამობრუნებულ ბელტებს ყოჩაღად ჩეკნის, აფხვიერებს. ძიწაშემოცლილ ბალახის ფესვებს ბარის წვერით უმცროსი ძმისაკენ ისვრის. ნიკაც მარდად იღებს ფესვებს, ცალკე აგროვებს, რომ მიწის ქვეშ არ მოხვდეს და ისევ არ აბალახდეს ვენახი.

გიგო მღერის. დროდადრო ბარვას წყვეტს. სცხელა. კამკამა, ლაჟვარდოვანი ციდან ცხრათვალა მზე უმოწყალოდ იკბინება. გიგო ალაზნის ველიდან ნიავს სიცხისაგან წამოწითლებულ სახეს უშვერს, ცოტა რომ გაუგრილდება, ისევ ბარავს, ისევ — «დაუბერე ნიავოო» — ჩაჰღიღინებს ვაზის ძირებს.

ნიავსაც თითქოს ესმის გიგოს სიმღერა. წამოვა ვენახის ბოლოდან, გემრიელად წამოუქროლებს, შრიალ-შრიალით ამოუყვება ვაზის რიგებს და უჩინარი, მსუბუქი ფრთებით ძმებს მიაწყდება, ქოჩრებს აუწეწავს, მოელამუნება მზემოკიდებულ ცხვირპირზე, ჩაუძვრება პერანგის მოღეღილ საყელოებში და ოფლიან კანზე საამურ სიგრილეს შეატოვებს.

როგორც უბეში გამომწყვდეული ჩიტის ბარტყი, ნიავი ცოტახანს მიყუჩდება, გაირინდება ვენახიც, მაგრამ ეს გარინდება სულ რამდენიმე წამს გრძელდება, მერე ისევ ატყდება, აიშვებს თავს, და აშრიალდებიან ვაზის ფოთლებიც.

ნიკაც მოუთმენლად ელის ნიავს. მართალია ნაბარიდან ბალახის ფესვების ამოკრეფა ბარვასთან შედარებით იოლია, მაინც ძნელია მზის გულზე მუშაობა, სახე ალიატლასავით გახდომია. გულის გასაგრილებლად მალი-მალ ვაზის ჩრდილში მიდგმულ, ფუჩეჩდაცობილ კოკურას დასწვდება ხოლმე, ლიკლიკით სვამს წყალს და ძმასაც აწვდის წყურვილის მოსაკლავად.

გიგომ ბელტიდან თეთრი, პრიალა ფესვი გამოარჩია და ბარით ძმას მიუგდო.

—ეგ ფესვი კანჭასია. იცი რა ვაგლახი სარეველა ბალახია? მაგით გადავლილი მიწა არც საბარად ვარგა, არც სათოხნად.

ნიკამ იმისთანა ფესვი ვაზის ძირთანაც შენიშნა, ნაბარში ნეკის სიმსხოდ ამოზრდილიყო. ბიჭმა ჩაიმუხლა, თითებით გარშემო მიწა მოუხალვათა, ხელი მაგრად ჩასჭიდა და ამოსწია. ფესვი ჯერ მოჰყვა, თოკივით დაგრძელდა, მერე გაუძალიანდა, გამაგრდა.

ადგილიდან ვეღარ დაეძრა.

—ემაგეთი ვერანაა, ეგა!— გაიცინა გიგომ, —ნახე, რამსიგრძეზე წასულა?! სადაც მოხვდება, უცხო ჯიშის კაცივით გაპაპაჯვრდება ხოლმე. ძაან გამრავლება იცის, თავიდან ვეღარ მოიცილებ. მიდი, მიდი, ამოძირკვე, გაქრა მაგისი განაგისი!

ნიკამ კანჭას ფესვს მეორე ხელიც მოავლო. რაც ძალი და ღონე ჰქონდა ეწეოდა და ეწეოდა თავისკენ, თან გულში ჩუმად ემუქრებოდა: მე ვერ უნდა მოგერიო? მე ვერ უნდა ამოგძირკვო?

უცებ კანჭას ფესვი მიწიდან ამოვარდა. ბიჭმა ხელები მაღლა აიქნია, თავი ვეღარ შეიმაგრა და გულაღმა გადაკოტრიალდა.

—ყოჩაღ ბიჭო, ნახე როგორ გაგიძალიანდა? ხომ არაფერი იტკინე? — ზრუნვით შეეკითხა გიგო ძმას.

—არა! — თქვა ნიკამ. ფეხზე სწრაფად წამოხტა და იმით გაამაყებულმა, რომ კანჭას მოვერიეო, ხელში შერჩენილი, მკლავის სიგრძე ფესვი შორს მოისროლა. ფესვმა ჰაერში გაიშხუილა და ვაზის ლერწს გადაეკიდა.

— ეგ რა ჰქენი? — მიაძახა გიგომ ძმას.

— რა ვქენი და გადავაგდე! —გაეპასუხა ნიკა.

— ეე, მაგრე არა, ბალღო, მაგრე არა! — რატომღაც არ მოეწონა უფროს ძმას უმცროსის საქციელი.

—რატომ?

—იმიტომ, რომ კანჭა კატასავით ცხრასულაა. აქაურობას მაგას ადვილად ვერ მოაცილებ. იცი, რა უთქვია კანჭას? ცხრა წელიწადს სხვენზე ვეგდე, მერე ერთმა პატარძალმა, ღმერთმა უშველოს, გადმომაგდო დაბლა და ისევ ვიხეირეო.

— მართლა? — გაიცინა ნიკამ.

— არ გეუბნები, ემაგეთი ვაგლახაა-მეთქი?! შენ რომ გგონია გამხმარიაო, წამოვა წვიმა, მოხვდება ცის ნამი და მწვანედ აბიბინდება.

— მაშ რა ვუყო?

— წაიღე და აგერ იქ, ჭერამთან რომ წეღან ფოცხით ჩალაბულა მოვაგროვეთ, ზედ გადააგდე, დავწვათ.

ნიკამ ვაზის ლერწზე გადაკიდული კანჭას ფესვი აიღო, მერე რაც აქუჩებული ფესვები ჰქონდა, ისიც მოხვეტა და ჩალაბულას მიაყარა. ძმას ასანთი გამოართვა და ცეცხლი წაუკიდა.

— დაუბერე ნიავო... — მღეროდა ჯიგო.

ნიავიც უბერავდა და უბერავდა.

იწვოდა ჩალაბულა.

თეთრ კვამლს ნიავი წაღმა-უკუღმა ატრიალებდა, ნისლივით ვენახიდან ვენახზე გადაჰქონდა და შორს ფანტავდა.

მხატვარი **ვაჟა ქურხული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი წერეთელი

დასაურდენ ხეს ეხვევა
და ხეც ხვდება დედურად,
ეძახიან ღორტეავას,
მაკრატელას, ღვედურას...
კითხულობენ ჩიტები:
სად ბოლო აქვს,
სად თავი?
ღეროებში ბოჭკო აქვს
აბრეშუმის სართავი.
აი, კიდევ ხალხისთვის
ნახეთ რა უჩუქნია, —
ფოთლებსა და ღეროებს
გვიწვდის კაუჩუკიანს.
ზოგს ევავილის სურნელი,
ზოგს კი თაფლი არგუნა,
გულით ავადმყოფები
კანის წვენით განკურნა.
მაკრატელა ნაოფში
თესლს ბეწვი აქვს აფრებად,
ჰარკი როცა გასკდება,
თესლმა იცის გაფრენა.
დასაურდენ ხეს ეხვევა,
დაუჰერია მეცხრე ცა,
იკეცება ღვედივით,
მიტომ ჰქვია . . . . . .

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუსი პატარა და გაუსი დიდი

მხატვარი **ზაურ დეისაძე**

თამაზ ებანოიძე



მათემატიკის ისტორიაში ცოტა როდია არაჩვეულებრივი მათემატიკური ნიჭის ადრეული გამოვლინების შემთხვევები. საკმარისია ვახსენოთ შვეიცარიელი ლეონარდ ეილერი, ნორვეგიელი ნილს აბელი, ფრანგი ევარისტ გალუა, უდიდესი გერმანელი მათემატიკოსი კარლ გაუსი...

გაუსს ლამის ჩვილობიდან გამოუჩენია თავი. მის საარაკოდ ნაადრევ გონებრივ განვითარებაზე ლეგენდებია შემორჩენილი. მაგალითად, სამი თუ ოთხი წლისა, ის მამამისის ხმამაღალ ანგარიშში ჩარეულა (ეტყობა, მიყურადებული იყო), მამის შეცდომა გაუსწორებია და სახტად დაუტოვებია მშობელი.

თვლაში გაიწაფა თუ არა, პატარა გაუსი ხშირად აოცებდა თურმე დედ-მამასა და ნაცნობებს, ისეთი დაუჯერებელი სისწრაფითა და სიზუსტით ახდენდა გაანგარიშებებს (დიდი რომ გაიზარდა, ხუმრობდა ხოლმე, თვლა ლაპარაკზე ადრე ვისწავლეო).

7 წლის გაუსი სკოლაში მიაბარეს. ერთხელ მასწავლებელმა მოსწავლეებს დავალება მისცა—ერთიდან ასამდე ყველა მთელი რიცხვის ჯამი იპოვეთო. გაუსმა სულ მცირე ხანში უპასუხა — 5050-ო და გაკვირვებულ მასწავლებელს დინჯად აუხსნა, როგორ შეკრიბა რიცხვები ასე სწრაფად. (მან გამოიყენა ერთი გონებამახვილური იდეა, რომელსაც მოსწავლეები მაღალ კლასებში ეცნობიან).

ჭაბუკი გაუსის მათემატიკური განვითარება გიგანტური ნაბიჯებით გაგრძელდა და 19 წლისამ მან ისეთი პრობლემა გადაწყვიტა, რომელსაც მანამდე 2000 წელზე მეტ ხანს ვერაფერი მოუხერხეს (დაამტკიცა ფარგლისა და სახაზავის საშუალებით წესიერი 17 -კუთხედის აგების შესაძლებლობა). 22 წლისას კი დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

გაუსმა მრავალი შესანიშნავი აღმოჩენით გაამდიდრა არა მარტო მათემატიკა, არამედ სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანიც: ფიზიკა, ასტრონომია, გეოდეზია. ზოგი თქვენგანი, ვინც მომავალ პროფესიად ხსენებულ დარგებს აირჩევს, ალბათ არა ერთხელ და ორჯერ შეხვდება გაუსის სახელს.

ასეთი იყო კარლ გაუსი, რომელსაც სიცოცხლეშივე შეარქვეს «მათემატიკოსთა მეფე».

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ კობერიძე

ძეგლის მეგობრები

კრწანისელი, ასპინძელი,
თუმც ვართ კარგი მასპინძელი,
საქმეს ვუზამთ სანანურს,
თითს ვინც ახლებს ანანურს.
მცველები ვართ ძეგლისა,
ნაჯამი გვაქვს რძე მგლისა,
არვის ექნეს იბერის
იმედები სიბერის.

სტუმრად ოფოფებთან

ოფოფებმა დამპატიჟეს,
ქვაბი ჰქონდათ ფაფახისა,
საფოფინოდ მომიხარშეს
ნახერხისგან ფაფა ხისა;
მერე მომართვეს მაწონი,
თან სულ იფიცეს დედები,
არისო ჩიტის რძისგან
მაწონი შენადედები.

ცხრა და-ძმა

თოვლში მოდის ცხრა და-ძმა,
უკან ძმები, წინ — დები,
ბებოს ჩაუცმევია
ჭრელაჭრულა წინდები.
არა ჰყოფნით შარა ძმებს,
არა ჰყოფნით შარა დებს,
გეუბნებით სიმართლეს,
არა ვხლართავ შარადებს.
ასწავლეს ამ ყმაწვილებმა
და ქალებმა ხმაწვრილებმა,
მოუღერათ ვინც კი გუნდა, —
თუ გაგუნდვა როგორ უნდა.

მხატვარი მანანა მორჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უფრო საშიშია—ელვა თუ ქუხილი

ჭექა-ქუხილი თითქმის ყველას აკრთობს. ადრე ხომ ყველას შიშით აცახცახებდა. ეჩვენებოდათ, რომ ცაში ერთ-ერთი ღმერთი დააქროლებდა ეტლს და ცეცხლოვან ისრებს უშენდა მიწას. დაქუხება იყო და — ვინ სად მიძვრებოდა, ვინ — სად.

არავითარი ეტლით მოარული ღმერთი არ არის ცაში. მაშ რა ხდება, რა არის ელვა და ქუხილი? რა არის და, დღევანდელი სიტყვებით რომ ვთქვათ, ელექტრო მოკლე ჩართვები. დადებითად დამუხტული ღრუბელი მიუახლოვდა უარყოფითი მუხტების მქონე ღრუბელს, მუხტებმა ერთმანეთი მიიზიდეს, შეერთდნენ, მოხდა ელექტროაფეთქება. აფეთქების ცეცხლი, თუ ის ძლიერია, დედამიწისაკენ მიჰქრის. თუ მიწამდე ჩააღწია, ჩვენ ამ ცეცხლს მეხს ვეძახით. სინათლის გავრცელების სისწრაფე გაცილებით დიდია ხმის გავრცელებასთან შედარებით, ამიტომ ჩვენ ჯერ ელვას ვხედავთ, ქუხილი კი შემდეგში გვესმის. ქუხილი ელექტროაფეთქების ხმაა.

შორეული ელვა და ქუხილი საშიში არ არის, მაგრამ არის ქუხილი, თითქოსდა მთლად შენს თავს მაღლა. ასეთი ქუხილი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ადამიანისათვის. შეიძლება მან თვალის დახუჭვაც კი ვერ მოასწროს, ისე გაუაროს ელვამ. ასეთი გავლა კი უსათუოდ სიკვდილით მთავრდება.

მეხი ჩალეწავს და ცეცხლს წაუკიდებს დიდ ხეს, მანქანას, სახლს... ამიტომ ადამიანებმა უკვე კარგა ხანია მეხამრიდები გამოიგონეს. მეხამრიდი ფოლადის პატარა ანძაა, რომელიც ელექტროგამტარით შეერთებულია მიწასთან. მას დგამენ მაღალი სახლებისა და ფეთქებადი ნივთიერებებით სავსე ფარდულების თავზე. თუ იქ ახლომახლო მეხი ჩამოვარდა, ის მეხი ფოლადის ანძას დაეცემა, ანძიდან ელექტროგამტარში გადავა და მიწაში ჩაინთქმება.

არ შეეფაროთ ჭექა-ქუხილის დროს მაღალ ხეებს, ყველაზე უკეთესია გამოთხრილ მიწაში შეწოლა...

ელვა დიდი ელექტროძალაა, მაგრამ ადამიანებმა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს მისი დაჭერა, თავიანთ სასარგებლო ძალად გამოყენება.

მზესუმზირა

ირინე უშვერიძე

—ჭიტა-ჭიტა!—
იცინის,
ავდარი თუ დარია.
მზისწილ სახელს ატარებს,
ალბათ ეს უხარია.
ცისკენ ცქერას ნაჩვევი,
ბავშვებს უყვართ ძალიან,
რადგან მზის და ბავშვების
კარგი მეგობარია.

ზღვაში წვეთი

შოთა ამირანაშვილი

გამოჩენილი ინგლისელი მწერლის, დრამატურგისა და პუბლიცისტის ჯორჯ ბერნარდ შოუს პიესის „პიგმალიონის“ პრემიერის შემდეგ აღფრთოვანებული მაყურებლები ტაშის გრიალით უხმობდნენ ავტორს. სწორედ იმ წამს, როდესაც ბერნარდ შოუ ფარდის წინ გამოჩნდა, მქუხარე ოვაციას იარუსებიდან სტვენაც შეერია.

შოუმ იარუსებისაკენ ხელი გაიქნია და მხიარულად შესძახა:

—სავსებით გეთანხმებით, მეგობარო, მაგრამ მარტო მე და შენ რას გავხდებით ამდენ ხალხთან.

მხატვარი ლალი ლომთაძე

კომედია

ვენის თეატრის დირექტორთან, ჰაინრიჰ ლაუბესთან მაღალი ჩინის მოხელე მივიდა და პიესა წარუდგინა:

—კომედია დავწერე და გთხოვთ დადგათ. ჰონორარს არ მოვითხოვ, რადგან ეს ისე, ჩემი სიამოვნებისათვის დავწერე, —უთხრა მან.

—ჯობს, სხვას მიმართოთ, —მიუგო ლაუბემ თავაზიანად, —რადგან მე მხოლოდ ისეთ პიესებს ვდგამ, რომლებიც ხალხის სიამოვნებისათვის არის დაწერილი.

ᲨᲝᲗᲐ ᲮᲝᲓᲐᲨᲜᲔᲚᲘ

ᲙᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲔᲑᲘ

ბალსა ბელავს ბეგლარი,
ბერხევას დევს ბერღარი,
ბობორიკა —ობობა
მორბის ცერზე შემდგარი.

ჯაბას ჯავრი მოჯარვია, —
აჯავრებსო ჯიმი ჯანოს.
ჯამრულიმ კი ჯუჯულებთან
ჯამი ჯიქურ მიიტანოს.
ჯეჯორასთან მოჯარულან,
ჯერ ვინც უნდა იჯაჯღანოს.

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲚ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ

ეს სახუმარო თამაში სოფლის დღესასწაულებზე და ახალგაზრდულ საღამოებზე იმართება. მესერზე ან დაფაზე დახატავენ უკუდო ძროხას ან ხარს. თამაშის მონაწილენი დაფიდან 15—20 მეტრის დაშორებით ჩერდებიან. ერთს თვალებს აუხვევენ, ხელში აძლევენ ნაჭრისაგან შეკერილ კუდს („საბას"), რომელსაც ბოლოში ჭიკარტი აქვს. მოთამაშე ადგილზე სამჯერ შემოტრიალდება, ძროხისკენ გაემართება და საჭირო ადგილას კუდის მიმაგრებას შეეცდება. რასაკვირველია, ამას ყველა ზუსტად ვერ მოახერხებს, რაც სიცილსა და მხიარულებას იწვევს. თამაშის დროს საჭიროა მონაწილეებმა გამოამჟღავნონ სწრაფი ორიენტაციის უნარი და საზრიანობა.

ᲓᲘᲚᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲙ-ᲘᲡᲐ ᲓᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲙᲚᲐᲡᲔᲚᲗᲐᲗᲘᲡ.

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა გაგუა, სუსინ გოგიბერიძე, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, გელა ლოსაბერიძე, მაჟვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, თენგიზ ჩალაური (პ/მგ.მდივანი), გივი ძელაძე, გივი ჯიჯინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ენდი ფერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყობად 27.02.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.05.90 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 141.000, შეკვეთა № 623

ყდაზე ნახატი
ედუარდ ამბოკაძისა

«Дила» («Утро») — Ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Реваз Инанишвили (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж 141.000. Заказ №623

ფასი 20 კაპ.

6/163/71

ინდექსი 7605

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოუნახეთ ამ ბავშვებს თავ-თავისი სათამა



მხატვარი **ბესო ზუბაშვილი**